პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 68 (12276)
სამშაბათი,
20 მარტი
1962 წელი
გამოცემის 42-ე წელი
ფასი 2 კაპ.

საბჭოთა დემოკრატიის დიდი ზეიმი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობა

კვირას, 1962 წლის 18 მარტს, მოეწყო სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ხმის მიცემა დაიწყო ყველგან დილის 6 საათზე და დამთავრდა ღამის 12 საათზე ადგილობრივი დროით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებმა ჩაიარა დიდი პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში, მოსახლეობის მაღალი პოლიტიკური აქტივობით, რაც გამოიწვია სკკპ XXII ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მოსაწყობად შეიქმნა 1.443 საარჩევნო ოლქი, აქედან კავშირის საბჭოს არჩევნების 791 საარჩევნო ოლქი და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 652 საარჩევნო ოლქი. სსრ კავშირის მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან შედარებით საარჩევნო ოლქების რიცხვი გაიზარდა 65-ით, აქედან კავშირის საბჭოს არჩევნების 53 ოლქით და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების 12 ოლქით.

ყველა საოლქო საარჩევნო კომისიისაგან მიღებული წინასწარი მონაცემების საფუძველზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 139.947.206 ამომრჩეველმა, ანუ სიაში შეტანილ ამომრჩეველთა 99,95 პროცენტმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს კავშირის საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქებში ხმა მისცა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 99,43 პროცენტმა და ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქებში — 99,14 პროცენტმა.

არჩევნები გაიმართა ყველა საარჩევნო ოლქში.

არჩევნების საბოლოო შედეგსა და სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სიას ცენტრალური საარჩევნო კომისია გამოაქვეყნებს 1962 წლის 21 მარტს.

1962 წლის 19 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია

ალჟირელი ხალხის ისტორიული გამარჯვება

მის აღფრთოვანებულებას ბატონ ბენ იუსეფ ბენ ხედას

ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს

რადიომ და ტელეგრაფმა ეს-ეს არის შეგვატყობინა გმირი ალჟირელი ხალხის ისტორიული გამარჯვება. ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობასა და საფრანგეთის მთავრობას შორის მოლაპარაკებაში მიღწეულია შეთანხმება ალჟირის როგორც დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს თვითგამორკვევისა და ალჟირში ომის შეწყვეტის შესახებ.

ნება მიბოძეთ, ბ-ნო თავმჯდომარევ, ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის გამო საბჭოთა კავშირის ხალხების, საბჭოთა მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით გულითადად მივულოცო ალჟირელ ხალხს, ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობას და მოგილოცოთ პირადად თქვენ ეს დიდი გამარჯვება.

საბჭოთა კავშირის ხალხები, ისევე როგორც ალჟირის ყველა მეგობარი, აღტაცებული იყვნენ ალჟირელი პატრიოტების მამაცობითა და გმირობით, რომელნიც არავითარ მსხვერპლს არ მოერიდნენ, რათა დაეცვათ ეროვნული თავისუფლებისა და სამშობლოს დამოუკიდებლობის წმიდათა წმიდა უფლება. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ სამართლიანი საქმე, რომლისთვისაც მრავალი წლის მანძილზე იბრძოდა ალჟირელი ხალხი, გაიმარჯვებდა, და კოლონიური ჩაგვრის ბორკილი, რომელშიც კოლონიზატორებს სურდათ ჰყოლოდათ ალჟირელი ხალხი, სამუდამოდ დაიმსხვრეოდა.

ეს გამარჯვება, რომელიც იაფად არ დამჯდარა, ახარებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ხალხების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმე. ბევრი სისხლი დაღვარეს ალჟირის სახელოვანმა პატრიოტებმა, რომელნიც თავდადებით იბრძოდნენ თავით ფიხამდე შეიარაღებული კოლონიზატორთა არმიის წინააღმდეგ, და დიდი მსხვერპლი გაიღო ალჟირელმა ხალხმა ეროვნული განთავისუფლების საქმისათვის ბრძოლაში, სანამ შეძლო დამოუკიდებელი ალჟირის სახელმწიფოს დროშა აღემართა თავის მიწა-წყალზე.

ალჟირელმა ხალხმა კოლონიზატორთა წინააღმდეგ თავისი გმირული ბრძოლით თვალსაჩინო წვლილი შეიტანა კოლონიალიზმის ლიკვიდაციისა და კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ გაერთიანებული ერების გადაწყვეტილების შესრულების საერთო საქმეში. კოლონიური ომის შეწყვეტა ალჟირში და დამოუკიდებელი ალჟირის გამარჯვება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა, ხელმძღვანელობს რა ხალხთა თვითგამორკვევის უფლების დიადი პრინციპით და დიდ პატივს სცემს ალჟირელი ხალხის სამართლიან ეროვნულ მისწრაფებას, აცხადებს, რომ დე-იურე ცნობს ალჟირის რესპუბლიკის დროებით მთავრობას და მზად არის დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს მასთან.

საბჭოთა მთავრობა გამოთქვამს რწმენას, რომ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ხელს შეუწყობს ჩვენს ხალხებსა და ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთგაგებისა და მეგობრობის შემდგომ განვითარებას თანასწორუფლებიანობის, სუვერენიტეტის პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობის პრინციპების საფუძველზე.

საბჭოთა ხალხი გულწრფელად უსურვებს ალჟირის ხალხს დიდ წარმატებებს დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობასა და განმტკიცებაში, თავისი სამშობლოს ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

ნ. ხრუშჩოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1962 წლის 19 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინასწარი შედეგებისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია

19 მარტს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტების პრეს-კონფერენცია. კონფერენციაზე გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი. მან ილაპარაკა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების წინასწარი შედეგების შესახებ. (საკდესი).

ბროშურად გამოვიდა ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება და საბოლოო სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება „კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპი და პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1962 წლის 5 მარტს.

ბროშურაში მოთავსებულია აგრეთვე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საბოლოო სიტყვა პლენუმზე — „საბჭოთა ხალხი წარმატებით შეასრულებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების პროგრამას“.

ბროშურის ტირაჟია 1 მილიონი ეგზემპლარი. (საკდესი).

მთელი პარტიის, ხალხის საქმე

სიუხვის წყარო

მეხილეობა ჩვენი კოლმეურნეობის სიუხვისა და დოვლათის წყაროა. ამ ძველი, მამაპაპური დარგის აღდგენა-განვითარებას მესხეთში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიეცა სათანადო ყურადღება. ყოველწლიურად იზრდება ბაღების ფართობი და მოსავლიანობა.

ასეა დაბა ასპინძის კოლმეურნეობაშიც.

ჩვენ ამჟამად 62 ჰექტარი ბაღი გვაქვს, აქედან მსხმოიარეა 15 ჰექტარი. წელს გავაშენებთ 6 ჰექტარ ახალ ბაღს, ხოლო შვიდწლედის ბოლოს 100 ჰექტარამდე გავზრდით ბაღების ფართობს.

მებაღეობის იმ ბრიგადის წევრები, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, თავდადებულად იბრძვიან იმისათვის, რომ წელს თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 100 ცენტნერი ხილი ნაცვლად 60 ცენტნერისა. მოწინავეე მებაღეები ეკვენია ციხაძე, შუშანა ფოცხვერაშვილი, ილია მელიქიძე და სხვები კი თვითეულ ჰექტარზე 120-130 ცენტნერი ხილის მოეებისათვის იბრძვიან.

საამისოდ ყველაფერს ვაკეთებთ. ბაღებში ვამთავრებთ სასუქების შეტანას, თვითეულ ჰექტარზე შეგვაქვს 40 ტონა გადამწყარი ნაკელი. ვაწარმოებთ ხეხილის გასხვლას, პროფილაქტიკურ ღონისძიებებს: გამწმარი ტოტების მოჭრას, გატანას, შტამბებისა და დედა ტოტების კირის ხსნარით შეთეთრებას, სარწყავი არხების გაწმენდა-შეკეთებას და სხვ.

მეხილეთა გადაწყვეტილებაა წელს მარტო მეხილეობიდან 40 ათასი მანეთი, ხოლო შვიდწლედის ბოლოს 100 ათასი მანეთი მიიღონ.

შ. თურქაძე.

ახალციხის რაიონის დაბა ასპინძის კოლმეურნეობის მებაღეობის ბრიგადის ხელმძღვანელი.

როდიონოვკელთა წარმატებანი

ახალქალაქის რაიონის მაღალმთიან სოფელ როდიონოვკის კოლმეურნეობაში სერიოზულ უურადღებას უთმობენ მეცხვარეობის განვითარებას. ამ დარგის რენტაბელობისათვის სახელოვნად იბრძვიან აქაური მწყემსები, თავჩობანები.

კოლმეურნეობაში ამჟამად 2.270 სული მარტო დედაცხვარი ჰყავთ. შვიდწლედში კი დედაცხვრების რაოდენობა 5 ათასამდე გაიზრდება, მნიშვნელოვნად გაადიდებენ მატყლის წარმოებას.

როდიონოვკელ მეცხვარეებს პარტიის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში ახალ ენერგიასა და ძალას მატებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა სოფლის მეურნეობის ყველა მრეწველობის პირობებში მიექცა სათანადო ყურადღება. ყოველწლიურად იზრდება ბაღების ფართობი და მოსავლიანობა. ასეა დაბა ასპინძის კოლმეურნეობაშიც.

მეცხვარეობის მაღალ ტექნიკურ დონეზე აყვანაში დიდ დახმარებას უწევს ცხვრის ფარების ალაზნის ველზე გამოაზამთრა. გვალვის გამო საძოვრები ქარბი არ იყოს, მაგრამ ცხვარს არ გასჭირვებია. კონცენტრირებული და უხეში საკვები ბევრი ჰქონდათ.

ძველანაგელები რაიონში პირველნი შეუდგნენ ცხვრის პარსვას. მექანიზატორი ნ. ზურაშვილი საპარს აბრეშატს შეუფერხებლად ამუშავებს. მან გ. ჯალიაშვილის ბრიგადაში პირველ დღეს ოთხასი თოხლი გაპარსა.

მატყლის გამოსავალი კარგია. თვითეული თოხლი 1,8 კილოგრამ მატყლს იძლევა. შემოდგომაზე გაცილებით მეტი იქნება. ძველანაგელები წელს სახელმწიფოს ათეულობით ტონა მატყლს მიჰყიდიან.

მატყლი — სახელმწიფოს

სიღნაღი. (საქ. კორ.). ძველი ანაგის კოლმეურნეობამ ცხვრის ფარები ალაზნის ველზე გამოაზამთრა. გვალვის გამო საძოვრები კარბი არ იყოს, მაგრამ ცხვარს არ გასჭირვებია. კონცენტრირებული და უხეში საკვები ბევრი ჰქონდათ.

ძველანაგელები რაიონში პირველნი შეუდგნენ ცხვრის პარსვას. მექანიზატორი ნ. ზურაშვილი საპარს აბრეშატს შეუფერხებლად ამუშავებს. მან გ. ჯალიაშვილის ბრიგადაში პირველ დღეს ოთხასი თოხლი გაპარსა.

მატყლის გამოსავალი კარგია. თვითეული თოხლი 1,8 კილოგრამ მატყლს იძლევა. შემოდგომაზე გაცილებით მეტი იქნება. ძველანაგელები წელს სახელმწიფოს ათეულობით ტონა მატყლს მიჰყიდიან.

წინსვლის გზები

მესხეთის კარი! — ასე ეძახიან სოფელ აწყურს, სადაც არის მერძეველობა-მეხილეობის ერთ-ერთი დიდი საბჭოთა მეურნეობა მესხეთში.

გასულ წელს, მიუხედავად ცუდი კლიმატური პირობებისა, მეურნეობის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა ახალი გზები დასახა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

გავიანგარიშეთ ჩვენი რეზერვები და შესაძლებლობანი და გადავწყვიტეთ:— წელს 1.600 კილოგრამამდე გავზარდოთ თვითეული საფურაჟე ძროხის წველადობა ნაცვლად გასული წლის 900 კილოგრამისა, სახელმწიფოს მივყიდოთ 250 ტონა რძე, 60 ტონა ხორცი, 180 ტონა ხილი, 214 ტონა ყურძენი, 200 ტონა კარტოფილი და 170 ტონა ბოსტნეული. ეს თითქმის 1,5-2-ჯერ მეტია, ვიდრე ამას წლიური გეგმა ითვალისწინებს.

კოლმეურნეობაში ახლა დიდი შრომითი აღმავლობაა. მწველავებმა 3 თვეში 100 ლიტრით გაზარდეს ძროხების წველადობა, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში. ვამთავრებთ მინდვრად ორგანული სასუქების გატანას, მოვიმარაგეთ კონდიციური თესლი. ავითვისეთ 50 ჰექტარი ყამირი მიწა. უკვე დავიწყეთ ბარდის თესვა. წელს პირველად ამ კულტურას 50 ჰექტარზე დავთესავთ და თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 20 ცენტნერ სათესლე ბარდას მივიღებთ.

მნიშვნელოვნად გზრდით სიმინდის ნათესი ფართობს. ჰექტარზე 70-100 ცენტნერი სიმინდის მიღებას გვპირდებიან მესიმინდენი შუქურები მ. კურტანიძე, გ. მუმლაძე, გ. სვანიძე, გ. გოგოლაძე და სხვები.

მეხილეობის შემდგომი განვითარების მიზნით წელს 106 ჰექტარ ბაღს კიდევ მივუმატებთ 30 ჰექტარ ახალ შენს. საშუალოდ ჰექტარზე მივიღებთ 100 ცენტნერ ხილს.

წინსვლის გზები დასახულია. გვაჩაღებთ მუშაობას დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ნ. სარჯველაძე.

ახალციხის რაიონის აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ტუნგო გეგმის გადამეტებით

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ტუნგოს ნაყოფის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს მიჰყიდეს 5.100 ტონაზე მეტი ტუნგოს ნაყოფი, რაც გეგმის 127 პროცენტს უდრის.

სახელმწიფოსათვის ტუნგოს ნაყოფის მიყიდვის წლიური გეგმა ქობულეთის რაიონში შესრულებულია 117 პროცენტით, ბათუმის რაიონში — 170 პროცენტით.

პირველი ნაბიჯები

ჩვენი კოლმეურნეობის წევრები გულდასმით სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მასალებს.

შარშან ჩვენი კოლმეურნეობა საცდელ-საჩვენებელ მეურნეობად გადაკეთდა. ეს ბევრ რამეს ავალებს არა მარტო თვითეულ კოლმეურნეს, არამედ სოფლის მეურნეობის ყველა სპეციალისტს. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ უკვე მოპოვებულია პირველი წარმატებები.

უფრო გაბედულად ინერგება წარმოებაში მოწინავეთა გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები. შარშან შემოდგომაზე ჩვენ ნიადაგის დასილოსებისას პირველად გამოვიყენეთ შარდოვანა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ფურების წველადობა. გადაჭარბებით სრულდება ძროხის წარმოების გეგმა, იზრდება საზოგადოებრივი დოვლათი, წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები.

მაგრამ ეს საკმარისი როდია. ჩვენი ამოცანაა მიმდინარე წელსვე უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდება. ჩვენი წარმატებანი გაცილებით მეტი იქნებოდა, სარწყავი ფართობები რომ გვქონდეს. ამ მიზნით თავისუფლად შეიძლებოდა გამოგვეყენებინა მაბალეთის ტბის წყლის რესურსები, შეიძლებოდა წყლის ამოქაჩვა არაგვიდან. საწყენია ისიც, რომ ჩვენს მეურნეობას დღემდე არ ეძლეოდა მინერალური სასუქები.

ეს ნაკლოვანებანი სასწრაფოდ უნდა გამოვასწოროთ.

ფ. ლალიაშვილი,

დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთის საცდელ-საჩვენებელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

საბაშის რაიონის კოლმეურნეობათა მინდვრებში, ჩაის პლანტაციებსა და მეღორეობის საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ გაიშალა საგაზაფხულო სამუშაოები. ახლა აქ ამზადებენ ნიადაგს სიმინდის დასათესად, ზრდიან ეთერზეთოვანი კულტურების ნერგებს, გააქვთ მინდვრებში სასუქები, აწარმოებენ ჩაის ბუჩქების გასხვლას. წელს რაიონში 8 ათასი ჰექტარი დაითმობა სიმინდს, აქედან 6 ათასი ჰექტარი უკვე მოხნულია. 200 ჰექტარზე დამთავრდა ბარდის თესვა. აბაშელმა მეჩაიეებმა იკისრეს მიმდინარე სეზონში გეგმით გათვალისწინებული 422 ტონის ნაცვლად მოკრიფონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 440 ტონა „მწვანე ოქრო“. კარგი მაჩვენებლები აქვთ მუშაობაში მეღორეებს. მათ ვადამდე გადაჭარბებით შეასრულეს ხორცის ჩაბარების კვარტალური დავალება. სახელმწიფოს ნაცვლად 1.025 ცენტნერისა მიჰყიდეს 1.415 ცენტნერი ღორის ხორცი. წელს აბაშელები გაასუქებენ 5 ათას ღორს, საშუალოდ 70-80 კილოგრამი წონის თვითეულს. რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა აგრეთვე კვერცხის მიყიდვის გეგმა, მალე გაანაღდებენ რძის ჩაბარების დავალებასაც. რაიონის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეთერზეთოვან კულტურებს (აბაშაში აგებულია ეთერზეთების დიდი ქარხანა). წელს რაიონის კოლმეურნეები მიიღებენ 2.200 ტონა გერანისა და რეჰანის ნედლეულს.

... ნოელის ნაპირებზე გადაჰიმღულია სოფელ ტყვარის კოლმეურნეობის მინდვრები. სიმინდი, ეთერზეთოვანი კულტურები, მეღორეობა — აი საკოლმეურნეო წარმოების დარგები.

რაიონში ცნობილია სოფელ ძველი აბაშის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეთა ბრიგადა, რომელსაც 20 წელია ხელმძღვანელობს ლავრენტი პერტენავა. ამ ბრიგადამ წელს იკისრა 70 ტონა ჩაის ფოთლის ჩაბარება. ჩაის ბუჩქების გასხვლა ლ. პერტენავას ბრიგადაში. (სურათი ჩვენით).

1,5-2 ნორმას ასრულებს ყოველდღიურად სოფელ ნორიოს კოლმეურნეობის ტრაქტორისტი შალვა გვაზავა (სურათი ზევით), რომელიც ბარდის თესვაზე ჭუშაობს.

ტექსტი და ფოტო ა. ვიგნანსკისა და დ. დვალისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

შესანიშნავი საჩუქარი მეყამირეებს

ბარნაული. (საკდესი). ციმბირის ყამირის დამყარობნი დიდხანს ოცნებობდნენ ჰქონოდათ აგრეგატები, რომელთაც შეიძლება ერთსა და იმავე დროს ხნან, ამსხვრიონ გორახები და ტკეპნონ ნაიდაგი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის დღეებში ალტაის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის კონსტრუქტორებმა დაამთავრეს ასეთი მანქანის შექმნა. სახნავი კომბინირებული აგრეგატი „ჰკა-2“ შედგება 5-კორპუსიანი გუთნისაგან, საგორავი გორახსამტვრევისა და კაბდოსაგან.

ალტაის სასოფლო-სამეურნეო ქარხნის მუშებმა მოკლე ხანში დაამზადეს აღჭურვილობა და შეიდგნენ ახალი მანქანების სერიულ წარმოებას. ქარხნის კოლექტივი წელს დაამუშავებს ხუთი ათას კომბინირებულ აგრეგატს.



მოკლედ...

□ ცელინოგრადისა და კუსტანაის ოლქების მშრომელები ახლა გაზეთ „იზვესტიას“ მისი გამოსვლის დღეს ღებულობენ. გაზეთი იბეჭდება ცელინოგრადში მოსკოვიდან თვითმფრინავით ჩატანილი მატრიცებით. ცელინოგრადი ჩვენი ქვეყნის ოცდამეხუთე პუნქტია, სადაც „იზვესტია“ იბეჭდება.

□ გამოვიდა 11 ტომი გამოცემისა „რუსეთის XIX და XX საუკუნის დამდეგის საგარეო პოლიტიკა“. იგი შეიცავს რუსეთის 200-ზე მეტ დიპლომატიურ დოკუმენტს. მეტი წილი ეს დოკუმენტები პირველად გამოიცა.

სახალხო მეურნეობის მიღწევების გამოფენა ახალი სეზონის წინ

მოსკოვი, (საკდესი). სახალხო სეზონისათვის მზადებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა მასობრივი ნახვისათვის დაიხსნა 15 მარტიდან მაისის დამდეგამდე. ამ პერიოდში მხოლოდ ორგანიზებული ექსკურსანტებისათვის მოეწყობა თემატური გამოფენები, სემინარები და ტექნიკური კონფერენციები. „მშენებლობის“ განყოფილება ძველ ღია იქნება ყველა მნახველისათვის.

სსრ კავშირის მეურნეობის მიღწევათა გამოფენა ახალი სეზონისათვის შეივსება მნიშვნელოვანი რაოდენობის ექსპონატებით, რომლებიც ასახავენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ტექნიკურ პროგრესს. ექსპოზიციაში დიდი ადგილი დაეთმობა საყოველთაო სახალხო ბრძოლას სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის.

კინოს სახლი რიგაში

რიგა. (საკდესი). ლატვიის დედაქალაქის კინემატოგრაფიის მუშაკებისათვის გაიხსნა კინოს სახლი. აქ არის კარგად მოწყობილი დარბაზი, დადგმულია ჩვენებისა და ფართოეკრანიანი ფილმების სადემონსტრაციო კინოაპარატურა.

კინოს სახლში გაიმართა შეხვედრა დოკუმენტური კინოს მოსკოველ მუშაკებთან, რომლებმაც უჩვენეს თავიანთი ახალი ფილმები. უახლოეს ხანში მოეწყობა შეხვედრები ლატვიისა და საქართველოს კინოსტუდიების, აგრეთვე სტუდია „ლენფილმის“ კინომსახიობებთან და რეჟისორებთან. გაიმართება სპეციალური საღამოები კინომოყვარულთათვის.

უკანასკნელი საათის

დამთავრდა ჩილის კომპარტიის XII ყრილობა

სანტ-იაგო, 19 მარტი. (საკდესი). გუშინ მუშაობა დაამთავრა ჩილის კომპარტიის XII ყრილობამ. თავის უკანასკნელ სხდომაზე ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტი 45 კაცის შემადგენლობით. ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად კვლავ არჩეულია ლუის კორვალანი.

ყრილობის საზეიმო დახურვა გაიმართა დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს თეატრში — „კაუპოლიკანში“. აქ შეიკრიბა დაახლოებით ათი ათასი კაცი — კომპარტიის წევრები, კომუნისტური ახალგაზრდობა, სახალხო მოქმედების ფრონტის წარმომადგენლები.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდნენ საზღვარგარეთის მოძმე პარტიების წარმომადგენლები: ეტიენ ფაჟონი (საფრანგეთი), რამონ ხალსინესი (კუბა), ვ. კოროიოვი (სსრ კავშირი), ჩილის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელახლა არჩეული გენერალური მდივანი ლუის კორვალანი და სხვები.

ყრილობის დახურვის შემდეგ დედაქალაქის მშრომელებმა გამართეს მძლავრი დემონსტრაცია ლოზუნგებით: „გაუმარჯოს ჩილის კომპარტიას!“, „ჩვენი ძალა ერთობაა!“, „დიდება კუბის რევოლუციას!“, „ვიბრძოლოთ სახალხო მთავრობისათვის!“, „ძირს ამერიკის იმპერიალიზმი!“, „დიდება ლენინის პარტიას—საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!“.

დიდი აქტივობა

ნიუ-იორკი, 19 მარტი. (საკდესი). ნიუ-იორკის დილის გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ პირველ გვერდზე გამოაქვეყნა ნ. ს. ხრუშჩოვის ფოტოსურათი, რომელიც ხმას აძლევს ქალაქ მოსკოვის ფრუნზეს საარჩევნო ოლქის 52-ე საარჩევნო უბანში.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“, „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ მოსკოველი კორესპონდენტები და ასოშიეიტედ პრესის სააგენტო თავიანთ ცნობებში ხაზს უსვამენ ამომრჩეველთა დიდ აქტივობას.

ბრძანება ალჟირში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ძალაში შევიდა

ლონდონი, 19 მარტი. (საკდესი). ალჟირში საფრანგეთის ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა შარლ აიერმ ბრძანება გასცა საფრანგეთის ყველა სამხედრო ნაწილებისადმი ალჟირში შეწყვიტონ საომარი მოქმედება, — იუწყება ალჟირიდან ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

12 საათსა და 00 წუთზე პარიზის დროით ყველა საომარი ოპერაცია შეწყდა, მაგრამ საფრანგეთის ჯარები, — ხაზგასმით ალნიშნავს კორესპონდენტი, — მზად არიან საბრძოლველად „იმ შემთხვევისათვის, თუ ერთმანეთს შეეტაკნენ ევროპელები და ალჟირელები“.

ძლიერი და მკაფიო სიგნალები

კანბერა, 19 მარტი. (საკდესი). ავსტრალიაში დიდი ინტერესით აღევნებენ თვალყურს ახალი საბჭოთა თანამგზავრის გაფრენას. ავსტრალიელი მეცნიერები ვუმერის სარაკეტო პოლიგონზე განუწყვეტლივ აღევნებენ თვალყურს საბჭოთა თანამგზავრს. მომარაგებისა და სამხედრო მრეწველობის მინისტრმა ფეირჰოლმა, რომლის გამგებლობაშია ეს სარაკეტო პოლიგონი, განაცხადა, რომ ავსტრალიელი მეცნიერები იღებენ საბჭოთა თანამგზავრის ძლიერ და მკაფიო სიგნალებს.

წუხელ ავსტრალიელმა მეცნიერებმა, რომლებიც ვუმერში მუშაობენ, სურათი გადაუღეს საბჭოთა თანამგზავრსა და მატარებელ რაკეტას.

ინგლისელი სალხი მხარს უჭერს საყოველთაო განიარაღებას

ლონდონი, 19 მარტი. (საკდესი). ინგლისის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშეწყობმა ასოციაციამ გამოკითხა დაახლოებით ნახევარ მილიონ კაცს — მოსახლეობის სხვადასხვა ფენისა და ასაკის წარმომადგენლებს.

თითქმის ყველა გამოკითხულმა — 472.718 კაცმა — მხარი დაუჭირა საყოველთაო და სრულ განიარაღებას, ყველა სახეობის ატომური იარაღის ლიკვიდაციას.

463.873 კაცმა მხარი დაუჭირა იმას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ მონაწილეობა მიიღოს განიარაღების მოლაპარაკებაში.

ყველა გამოკითხულის დაახლოებით 20 პროცენტმა დადებითი პასუხი გასცა შეკითხვას: უნდა თქვას თუ არა უარი ცალმხრივად ინგლისმა ატომურ იარაღზე, იმ შემთხვევაშიც, თუ სხვა ქვეყნები შეინარჩუნებენ თავიანთ ატომურ იარაღს.

პარტიული ცხოვრება

ფიქრები სოფლის მომავალზე

საუბარი საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველ მდივანთან ამხ. ე. შევარდნაძესთან

მთელი ჩვენი ქვეყანა უდიდესი გულმოდგინებით ადევნებდა თვალყურს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმს, რომელმაც ესეს არის დაამთავრა მუშაობა.

განვლილი საქმიანობის ღრმა ანალიზის, სკკპ პროგრამისა და პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებების საფუძველზე პლენუმმა მთელი სერიოზულობითა და პრინციპულობით ჩვენს წინაშე დააყენა საკითხი — უფველი ღონისძიებით განვავითაროთ სოფლის მეურნეობა, შევქმნათ პროდუქტების სიუხვე, რაც აუცილებელია საბჭოთა ადამიანების გაზრდილი მოთხოვნილების მთლიანად დასაკმაყოფილებლად.

რა კონკრეტული ამოცანები დგას ამჟამად პარტიის რაიონული კომიტეტის წინაშე?

როგორც პარტია მიგვითითებს, ახლა საქმის წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ მოვაწყობთ რაიონში მთელი ძალების მობილიზაციას, როგორ ჩავუდგებით სათავეში მშრომელთა მზარდ აქტივობას პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ბრიგადებსა და ფერმებში, აგროსაბნებში გახურებული სჯა-ბაასია, იმართება კრებები, თათბირები, საუბრები... მშრომელები გულდასმით ეცნობიან ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებასა და საბოლოო სიტყვას, პლენუმის დადგენილებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მემართვას.

ახლა გაზაფხულია, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმატებით ჩატარების ყველაზე პასუხსაგები დრო. რაიონის მშრომელთა საბრძოლო ამოცანაა წელს თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანონ 35 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. გათვალისწინებულია როგორც სამრეწველოდ, ისე სასილოსედ სიმინდი დაითესოს 2.500 ჰექტარზე. დამზადდეს 20.000 ტონა სილოსი. ნაცვლად 185 ჰექტარისა, ბარდა უკვე დათესილია 200 ჰექტარზე, ხოლო 400 ჰექტარ ფართობზე წელს კვლავ დაითესება სანაწვარლოდ. 800 ჰექტარ ფართობზე დაითესება აგრეთვე შაქრის ჭარხალი. არავითარ შემთხვევაში აღარ გავიმეორებთ გასული წლის შეცდომებს, როცა დიდი იყო ნაკლისა და ჩალის დაკარგები. ყოველივე ეს მოგვცემს იმის საშუალებას, რომ რაიონში უხვად გვქონდეს პირუტყვის საკვები, რითაც საგრძნობლად გავზრდით მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას.

ახლა მასობრივად მიმდინარეობს საბოსტნე სამუშაოები: კვალსათხრებში თესვა, ჩითილების მოვლა, სასუქების შეტანა და სხვა. მცხეთელ კოლმეურნეებს არცერთ წელს არ შეუტანიათ მინდვრად იმდენი სასუქი, რამდენიც წელს. ჩვენთან ბოსტნეულის დამუშავებაში ახალი ისარის, რომ 200 ჰექტარი ფართობი მთლიანად კომპლექსური მექანიზაციით დამუშავდა.

როგორია ვარაუდები ბოსტნეულის მოსავლიანობაში?

რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს მიმდინარე წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 5.500 ტონა ბოსტნეული ნაცვლად შარშანდელი 2.600 ტონისა.

ამ მიზნით, რომ საგაზაფხულო სამუშაოები მაღალ დონეზე ჩავატაროთ, ამ დღეებში მოვაწყეთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დათვალიერება. დათვალიერებამ კარგი შედეგი გამოიღო. რაიონის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ამჟამად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა სრულ წესრიგშია. ბევრი მანქანა მინდვრად გუგუნებს, დანარჩენიც მზად არის მწის საიერიშოდ.

მცხეთის რაიონში ყურძნის მოსავლიანობის გადიდების შესანიშნავი რეზერვებია. პარტკომის პლენუმმა სპეციალურად განიხილა ეს საკითხი. ჩვენ ვითვალისწინებთ წელს ყურძნის მოსავლიანობა უკანასკნელი სამი წლის მოსავლის საშუალო დონესთან შედარებით 1,5-ჯერ გავადიდოთ. თითქმის ორმაგად გაიზრდება ხილის მოსავლიანობაც. წელს დამუშავდა 150 ჰექტარამდე ვენახის ისეთი ფართობები, რომლებიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არ დამუშავებულა.

პარტიის რაიკომმა გაითვალისწინა ის მდგომარეობა, რომ რაიონის კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ სათანადოდ არ იყო მოწესრიგებული შრომის ანაზღაურება. წელს მთელ რიგ დარგებში ანაზღაურება მოხდება კოლმეურნეთა მიერ წარმოებული პროდუქციის მიხედვით. მაგალითად, მევენახე კოლმეურნეს ყოველი ცენტნერი ზეგეგმით უფველი პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

ვენახების გაშენების გეგმები წლების განმავლობაში არ სრულდებოდა იმის გამო, რომ რაიონში არ იყო საკუთარი სანერგე მეურნეობა. პარტიის რაიკომმა მიიღო ღონისძიება, რომ შეექმნას მცხეთის საკოლმეურნეობათაშორისო სანერგე მეურნეობა, რაც საშუალებას მოგვცემს მარტო წელს 150-200 ჰექტარ ფართობზე გავაშენოთ ახალი ვენახები.

სულ მალე მებოსტნეობასა და მერძეველობის რაიონი — მცხეთის რაიონი — მევენახეობის და მეხილეობის წამყვანი რაიონიც გახდება.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ „ჩვენს დროში უეიძლება მაღალპროდუქტიულად ვაწარმოოთ სოფლის მეურნეობა მხოლოდ მეცნიერების და ტექნიკის ბაზაზე. პარტიამ კვლავაც უნდა დაუჭიროს მხარი და განავითაროს სოფლის მეურნეობის მეცნიერება, მოუწყოდს მეცნიერებს — სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკთან ერთად წარმატებით გადაჭრან სასოფლო-სამეურნეო პრობლემების წარმოების გადიდების ამოცანები“.

ამიტომაც პარტიის რაიკომი კოლმეურნეობებთან სამეცნიერო დაწესებულებების კავშირის განმტკიცებას თავის უპირველეს მოვალეობად თვლის. ამ მხრივ ჩვენი რაიონი კარგი მაგალითის მომცემი უნდა გახდეს.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი კვლავ აგრძელებს შეფობას. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა დახმარებით კოლმეურნეებმა შეადგინეს 1962 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმები, მათივე მონაწილეობით შემუშავდება კოლმეურნეობათა ორგანიზაციული გეგმები უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის. ინსტიტუტის სპეციალისტებმა კოლმეურნეებს დახმარება აღუთქვეს აგრეთვე სამინდის კვადრატულ-ბუდობრივად თესვაში. წელს სამინდი კვადრატულ-ბუდობრივად უნდა დაითესოს 500 ჰექტარ ფართობზე.

პარტიის რაიკომში, რაისაბჭოს აღმასკომში ახლა ბევრს ფიქრობენ იმის შესახებ, თუ კონკრეტულად როგორ განვახორციელოთ მარტის პლენუმის გადაწყვეტილებები.

ყველაზე მტკივნეული საკითხია კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, ბრიგადებისა და აგროსაბნების ხელმძღვანელებში მეურნეობის უნარიანი გაძღოლის ჩვევების აღზრდა. სწორედ ამ მიზნით მუშრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ბაზაზე შეიქმნა მეურნეობის გაძღოლის სკოლა. ყოველ მეცადინეობაზე, რომელიც ყოველთვიურად მოეწყობა, მოხსენებებით გამოვლენ მეცნიერი მუშაკები, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ორი მეცადინეობაზე უკვე მოეწყო. პირველ მეცადინეობაზე ბარდის კულტურის მოვლა-პატრონობის შესახებ ლექცია წაიკითხა პროფესორმა ნ. ჩხენკელმა, ხოლო შრომის დამატებითი ანაზღაურების პრინციპებზე — დოცენტმა ა. ნარჩომაშვილმა. სკოლას აქვს ვეტერანების, ზოოტექნიკოსების, ფერმის გამგეების სექცია, რომელიც მუშაობს პროფესორ დ. აგლაძის ხელმძღვანელობით.

პარტიის რაიკომის წინაშე დაისვა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საკითხიც: როგორ ავიღოთ ბარდის მოსავალი? ეს კულტურა ჩვენთან ახალია, ამასთან წელს ბარდის ნათესი 600 ჰექტარ ფართობზე გვექნება. მოსავლის ასაღებად კი სპეციალური მანქანები არა გვაქვს. ამიტომ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექციასთან ერთად გამოაცხადა კონკურსი ბარდის ნათესის მექანიზაციით აღების წინადადებებზე. კონკურსში ჩაებმებიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა-მეურნეობების მექანიზატორები, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპეციალისტები, მიწათმოქმედების ინსტიტუტის, საკავშირო სასელექციო სადგურის მუშაკები... ვფიქრობთ, ასეთი კონკურსი ჯარგ შედეგს გამოიღებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა სავსებით დროულად შეიმუშავა ღონისძიება — შეიქმნას სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გასაძლიერებლად საწარმოო-ტერიტორიული სამმართველოები.

როგორ გვესმის ეს საკითხი ჩვენ, პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაკებს?

საწარმოო სამმართველოების შექმნით ოდნავადაც არ მცირდება პარტიის რაიონული კომიტეტის როლი და პასუხისმგებლობა. პირიქით, პლენუმის გადაწყვეტილებები მიგვითითებენ უფრო ამაღლდეს ყველა რაიონული რგოლის პასუხისმგებლობა.

პარტიის მცხეთის რაიონული კომიტეტი უფრო შემოქმედებითად, მოვალეობის ღრმა შეგნებით სათავეში ჩაუდგება რაიონის მშრომელთა მზარდ აქტივობას სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვისათვის ბრძოლაში.

საუცხო სკოლის ატესტატით ათასობით ახალგაზრდა მიდის ფაბრიკებში და ქარხნებში სამუშაოდ. ასე მოიქცა სვეტლანა მიხაილოვაც. მან გასულ წელს ოქროს medლით დაამთავრა საშუალო სკოლა. არჩევანი თბილისის ბამბის ძაფსართავ ფაბრიკაზე შეაჩერა.

სვეტლანა ზინა ღიმრაძეს მიამაგრეს. ოსტატს არ გამოეპარა გოგონას განცდები და შეშფოთება. მას გაახსენდა ის წუთები, როდესაც პირველად შემოვიდა საამქროში სვეტლანასავით ოთხი წლის წინათ. გაიღიმა, თავსახვევი შეისწორა, სვეტლანას მიუახლოვდა, როგორც ნამდვილ დას მოეხვია და მეგობრული სითბო აგრძნობინა.

დღესაც კარგი მეგობრები არიან სვეტლანა და ზინა. მათ ხშირად ნახავთ ერთად სამსახურშიც და გარეთაც. ძაფსახვევ საამქროში ყველა ახალ მოსულს ეხმარებიან და უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. დაუღალავი გოგონები 110 და 120 პროცენტით ასრულებენ საწარმოო გეგმას. ისინი ერთდროულად შვიდ-რვა ძაფსახვევ დოლს ემსახურებიან.

სურათზე: თბილისის ბამბის ძაფსართავი ფაბრიკის მოწინავე კომკავშირელი მუშები (მარცხნიდან) ზინა ღიმრაძე და სვეტლანა მიხაილოვა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პარტიული კომისია რაიკომთან

მოსკოველთა გამოცდილება

ერთ წელიწადზე მეტი ხნის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით პარტიის მოსკოვისა და ლენინგრადის და მოსკოვის ოლქის რაიკომებთან და საქალაქო კომიტეტებთან შეიქმნა შტატგარეშე პარტიული კომისიები პარტიაში მიღების საკითხებისა და კომუნისტთა პერსონალური საქმეების წინასწარ განსახილველად.

ამ ცდამ თავისი დანიშნულება გაამართლა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის და მოსკოვის ოლქის პარტიული ორგანიზაციების გამოცდილების მიხედვით ნება დართო შეექმნას პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შტატგარეშე პარტიული კომისიები პარტიაში მიღების საკითხებისა და კომუნისტთა პერსონალური საქმეების წინასწარ განსახილველად.

შტატგარეშე პარტიული კომისიის სხდომებს უნდა ეწარებოდეს პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტის ერთ-ერთი მდივანი.

„პრავდაში“ მოხსრობილია სკკპ ქალაქ მოსკოვის კუიბიშევის რაიკომთან არსებული პარტიული კომისიის მუშაობაზე, რომელსაც ქვემოთ ვბეჭდავთ.

□ □

ვასული წლის იანვარში მთბოვეს პარტკაიკომში შემეელო. კომუნისტთა ჯგუფი სასაუბროდ მიგვიწვია რაიკომის პირველმა მდივანმა. საუბარი გულთბილი, გულახდილობის გამომწვევი იყო. ალექსანდრე ივანეს-ძე მაკაროვმა გაგვაცნო პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ცდის სახით შეიქმნას შტატგარეშე პარტიული კომისიები, რომლებიც წინასწარ უნდა განიხილავდნენ პარტიაში მიღების საკითხებს, კომუნისტთა პერსონალურ საქმეებს. რაიკომის მდივანმა თვითეულ ჩვენგანს ჰკითხა, როგორ წარმოგვედგინა ასეთი კომისიის საქმიანობა და თანახმა ვართ თუ არა მონაწილეობა მივიღოთ მასში.

რაიკომში შემდეგი შეხვედრის დროს ჩვენ უკვე დაწვრილებით ვმსჯელობდით პარტიული კომისიის მიზნებსა და ამოცანებზე. მალე რაიკომის ბიუროში მის თავმჯდომარედ მე დამამტკიცა. კომისია შეიქმნა პარტიის რაიკომის წევრებისა და კომუნისტთა აქტივისაგან. მასში რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებით შევიდა თხუთმეტი კაცი: ტ. ი. აბაკოვი, რომელიც თავის დროზე სკკპ ცენტრალური სარედაქციო კომისიის წევრი, პარტიის მაგადანის საოლქო კომიტეტის მდივანი იყო, ი. ს. კრილოვი, კომუნისტი 1920 წლიდან, გამოცდილი პოლიტმუშაკი; მ. მ. ოგანოვი, წარსულში რაიკომის განყოფილების გამგის მოადგილე; ი. ა. ცივანკოვი, რომელსაც ცოტა ხნის წინათ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტი ეკავა, და სხვები. ესენი ყველანი ისეთი ადამიანები არიან, რომლებსაც, ისევე როგორც მე, წუნარი ცხოვრება როდი მოსწონთ: პენსიაზე რომ იმყოფებიან, სურთ, რამდენადაც შეუძლიათ, საგებლობა მოიტანონ.

ჩვენს, პენსიონერებს, გარდა კომისიაში პარტიის რაიკომის ორი ინსტრუქტორი, საწარმოთა სამ მუშაკ, ერთი პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

შეჩვევა მკაცრი იყო. რაიკომის ბიურო ითვალისწინებდა ყველაფერს: ადამიანებთან მუშაობის გამოცდილებას, პარტიულ სტაჟს, იდეურ წრთობას და რაც მთავარია — ამ ახალი და პასუხსაგები საზოგადოებრივი მუშაობის აქტიურად წარმოების სურვილს. ჩვენ გვესმოდა, რომ რაიონის პარტიული ორგანიზაცია დიდ ნდობას გვიწევდა.

მას შემდეგ, რაც დამტკიცებულ იქნა კომისიის შემადგენლობა, ჩვენ განვსაზღვრეთ მუშაობის წესი. ჩვენი ამხანაგებიდან თვითეული მოქმედებს რაიკომის ინსტრუქტორთან ერთად, მუშაობს პირველადი ორგანიზაციების გარკვეული ჯგუფის საქმეებზე. ამრიგად, თვითეული ჩვენგანი კარგად იცნობს რაიონის საქმიანობა და თანახმა ვართ თუ არა მონაწილეობა მივიღოთ მასში.

ამჟამად ჩვენ ვიკრიბებით ხუთ დღეში ერთხელ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას ყველა საკითხზე, რომელიც კომისიის სხდომაზე განსახილველად არის წარდგენილი. ეს ინფორმაცია ჩვენ ვიღებთ ან ზეპირად, ან წერილობით. ჩვენ ვეცნობით ყველა საბუთს, ვამოწმებთ, ვადარებთ ერთმანეთს ფაქტებს, ვიკვლევთ, ვიძიებთ, ვიკითხავთ, ვიმსჯელებთ, ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვაფორმებთ მას ოქმის სახით.

ჩვენ ვიკრიბებით ხუთ დღეში ერთხელ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას ყველა საკითხზე, რომელიც კომისიის სხდომაზე განსახილველად არის წარდგენილი. ეს ინფორმაცია ჩვენ ვიღებთ ან ზეპირად, ან წერილობით. ჩვენ ვეცნობით ყველა საბუთს, ვამოწმებთ, ვადარებთ ერთმანეთს ფაქტებს, ვიკვლევთ, ვიძიებთ, ვიკითხავთ, ვიმსჯელებთ, ვიღებთ გადაწყვეტილებას და ვაფორმებთ მას ოქმის სახით.

1961 წლის პირველი თებერვლიდან და წლის ბოლომდე განვიხილეთ პირველადი პარტორგანიზაციების 2.150 გადაწყვეტილება პარტიაში მიღების შესახებ. კომისიის ამოცანა წინასწარ გაეცნოს იმათ, ვინც შეიტანა განცხადება პარტიაში შესვლის შესახებ, შეამოწმოს დოკუმენტების გაფორმების სისწორე. კომისიის წევრები ცდილობენ გულახდილ-გამართონ პარტიაში შესვლის მსურველები საუბარში, შეიტყონ, რა გეგმები აქვთ მომავლისათვის. ერთი სიტყვით, გულახდილად ესაუბრონ. და არა მარტო იმას, ვინც განცხადება შეიტანა და პარტიული კრების გადაწყვეტილებით მიღებულია პარტიის წევრად ან წევრობის კანდიდატად. ჩვენ ყურადღებით ვისმენთ კომუნისტების, პარტბიუროს წარმომადგენლის აზრს, შემდეგ ჩვენი დასკვნა და წინადადებანი შეგვაქვს პარტიის რაიკომის ბიუროს განსახილველად და დასამტკიცებლად.

ერთხელ ვეცნობოდით სკკპ წევრობის კანდიდატად რკინიგზის ტრანსპორტის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ახალგაზრდა სპეციალისტის კომკავშირელ მარგარიტა ივეროჩკინის მიღების საქმეს. მას ჩინებული რეკომენდაციები ჰქონდა კომპარტიელებისა და კომკავშირული ორგანიზაციისაგან. კრებაზე გამოსულნი ერთსულოვნად ლაპარაკობდნენ ივეროჩკინაზე, როგორც ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკზე. იგი მეცნიერებათა კანდიდატია. ანკეტაში კი სვეტში „თანამდებობა“ უწერია: „უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი“.

— მოითმინეთ, თქვენს ინსტიტუტში ხომ ასეთი თანამდებობა ისეთ ადამიანებს უჭირავთ, რომლებსაც უმაღლესი განათლებაც კი არა აქვთ, — მიმართა პარტკომის წარმომადგენელს კომისიის ერთ-ერთმა წევრმა. — რატომ უჭირავს ასეთი თანამდებობა თქვენთან მეცნიერებათა კანდიდატს, იმ ადამიანს, რომელსაც, საერთო აზრით, მეტის უნარი შესწევს?

— იცით რა, — შეცდა პარტკომის წარმომადგენელი, — ივეროჩკინას არ უთხოვია ხელმძღვანელობისათვის, რომ სხვა სამუშაო მიეცათ...

კითხვა ტყუილად კი არ მიგვიცია. კომისიამ იცოდა, რომ ინსტიტუტში ყველაფერი რიგზე ვერ არის ახალგაზრდა სპეციალისტთა გამოყენების მხრივ. და ამიზე საუბარს ბევრი დრო დასჭირდა. მაგრამ საუბარს უშედეგოდ როდი ჩაუვლია. მალე სხვებთან ერთად პარტიის კანდიდატად ივეროჩკინა უფრო საინტერესო და პასუხსაგებ სამუშაოზე გადავიდა.

ხდება ხოლმე, რომ ასეთი საუბრები მოულოდნელ გართულებებსაც იწვევს. წლის განმავლობაში ჩვენი რეკომენდაციით მოუხდათ გადასასინჯავად დაებრუნებინათ 22 სამჭე პარტიაში მიღების შესახებ. პირველადი პარტორგანიზაციების თვრამეტ გადაწყვეტილებაზე კომისიამ გამოიტანა დასკვნა: უარი ეთქვას მიღებაზე, და რაიკომის ბიურო დაეთანხმა ჩვენს წინადადებებს.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენ ვცდილობთ ძალიან ყურადღებით, ზედმიწევნით შევისწავლოთ, რა მიზეზებმა შეიტანინა ამხანაგს განცხადება პარტიაში მიღების შესახებ, გამოვარკვიოთ პარტიაში შემსვლელის მორალური სახე და სამზადისი თვისებები. ამას კი დრო უნდა. და არც თუ ცოტა. პარტიის რაიკომის ბიურო, პირველადი პარტორგანიზაციების გადაწყვეტილებებს რომ განიხილავს, ითვალისწინებს კომისიის წინადადებებს.

უნდა ითქვას, რომ, პარტიაში მისაღები ორი ათასი კაცის გარდა, კომისიამ მიიღო და მოუსმინა ხუთასზე მეტ კომუნისტს, რომლებმაც ასე თუ ისე დააღწიეს პარტიის წესდების მოთხოვნები. უნდა ითქვას, რომ კომისიის მიერ განხილული ხუთასზე მეტი პერსონალური საქმიდან რაიკომის ბიუროში ხხლოდ ოცდაათ შემთხვევაში ვეიღებთ შესწორება კომისიის მიერ მომზადებულ გადაწყვეტილებათა პროექტებში. ეს იმას მოწმობს, რომ კომისია თავის დანიშნულებას ამართლებს. ზოგიერთი პერსონალური საქმის შესწავლა რამდენიმე კვირის განმავლობაში გვიხდება, ხოლო პარტიული დისციპლინის დამრღვევებთან კომისიის სხდომებზე საუბრები ზოგჯერ რამდენიმე საათს გასტანს ხოლმე. ერთი ასეთი საქმის გარჩევა განსაკუთრებით აღმებეჭდა მეხსიერებაში.

სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის ინჟინერმა ამხ. ჩუდაკოვმა პარტიულ კრებაზე მკვეთრად გააკრიტიკა დირექტორი ამხ. კოროკინი და მთავარი ინჟინერი ამხ. ბოგდანოვი. ბრალი დასდო მათ ბეც ტექნიკურ პოლიტიკაში, კრიტიკის ჩახშობაში. ბრალდებები სერიოზული და ფაქტებზე დამყარებული იყო. მაგრამ პარტიულ ბიუროს კრიტიკოსად დასკვნები არ გაუკეთებია. მაშინ ჩუდაკოვმა წერილით მიმართა პარტიის რაიკომს.

როცა ეს ინსტიტუტში შეიტყეს, ამას მაშინვე მოჰყვა „დასკვნები“. მაგრამ როგორი? ძოიწყეს ვიცრო შემადგენლობით პარტბიუროს „დახურული“ სხდომა. ჩუდაკოვს ბრალი დასდეს ინსტიტუტის კოლექტივზე ცილისწამებაში და გამოუტანეს სასტიკი საყვედური გაფრთხილებით. კომუნისტის პერსონალური საქმე რაიკომში შევიდა. კომისია გულდასმით გაეცნო ამ საქმეში. და საქმე ამჯ. ჩუდაკოვისთვის მშვიდობიანად დამთავრდა. რაიკომის ბიუროს არ დაამტკიცა ინკინრისათვის გამოტანილი სასჯელი. სამაგიეროდ დირექტორმა და პარტორგანიზაციის მდივანმა პასუხი აგეს თავიანთი არასწორი მოქმედებისათვის.

ამ შემთხვევის გარჩევა პერსონალური საქმის ჩარჩოებს გასცდა. შეიძლება მოვიყვანოთ მთელი რიგი მაგალითები, როცა კომისიას რაიკომის ბიუროზე გამოაქვონდა წინადადებანი იმის შესახებ, რომ საჭიროა შემოწმდეს სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტორგანიზაციების საქმიანობა პარტიული მუშაობის ცალკეულ საკითხებზე.

კვირაში ერთხელ გიკრიბებოდით და კომისიის სხდომებზე ექვს-შვიდ საათს ვრჩებოდით. თვენახევრის შემდეგ მუშაობის წესი გადავსინჯეთ. ახლა კომისია კვირაში ორჯერ იკრიბება. ერთ დღეს განიხილავს მასალებს პარტიაში მიღების შესახებ, მეორე დღეს კი ვარჩევთ პერსონალურ საქმეებს.

გარდა ამისა, კომისიის წევრები მუდმ მორიგეობენ რაიკომში. საქმე ის არის, რომ მისმა საქმიანობამ მალე მოიპოვა პოპულარობა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებსა და რიგით კომუნისტებში. ჩვენთან დაიწყეს მოსვლა ჩრიეის მისაღებად, რთულ საქმეებში დახმარების მისაღებად. და ჩვენ უარს როდი ვეუბნებით დახმარებაზე.

ახლა ჩვენთან უკვე ჩამოყალიბდა საქმეების გარჩევის მკაფიო, გარკვეული ხასიათი. პირველადი ორგანიზაციის გადაწყვეტილებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში მიღების შესახებ მისდის კომისიის წევრს — რაიკომის ინსტრუქტორს. იგი ამოწმებს ყველა დოკუმენტის გაფორმების სისწორეს. პარტიაში შემსვლელს ღრმად რომ გაეცნობიან, შემდეგ თავმჯდომარე ან მისი მოადგილე კომისიის დასკვნას რაიკომის ბიუროს ხელმძღვანელობით მუშაობს.

რაიკომი, აქტივი განვლილ წელიწადში დარწმუნდნენ, რომ ახალი საზოგადოებრივი თანამშრომლები საჭიროა რაიკომისათვის, იგი საჭირო და სასარგებლოა დედაქალაქის კუიბიშევის რაიონის ორმოცი ათასი კომუნისტისათვის. ეს არის მთავარი.

ა. იასტრებოვი,
სკკპ კუიბიშევის რაიკომთან არსებული შტატგარეშე პარტიული კომისიის თავმჯდომარე.

საზოგადოებრივ საწყისებზე

□ ფოთი. პარტიის საქალაქო კომიტეტთან შექმნილია პარტაულ-ორგანიზაციული, იდეოლოგიური მუშაობის და სამეურნეო საქმიანობის მუდმივი კომისია. კომისიას ხელმძღვანელობს 22-შტატგარეშელი ინსტრუქტორი, მასში შედიან პარტაქტივის წევრები.

ქალაქის პირველას პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილია 47 პარტიული კონტროლის კომისია. საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს რკინიგზის კვანძის პოლიტიკური განათლების კაბინეტი და ადგილობრივ რადიოგადაცემათა რედაქცია.

კ. კოპაძიძე.

□ ბორჯომი. რაიონის მსხვილ საწარმოებში — მ. ი. კალინინის სახელობის შუშის, მინერალური წყლის ჩამომსხმელ ქარხნებში და ასლდაბის სავეჯო ფაბრიკაში საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა პოლიტიკური განათლების კაბინეტები.

პარტკომის ბორჯომის რაიკომის ბიუროსთან საწარმოებში შექმნილი პოლიტიკური განათლების კაბინეტების გამგეებად დაამტკიცა გამოცდილი პროპაგანდისტები.

დ. ჯიჯილეიშვილი,
ბორჯომის რაიონულ გაზეთ „კომუნიზმის დროშით“ რედაქტორი.

□ ჩხოროწყუს რაიონის ღვინისპინის საცდელ-საჩვენებელი მეურნეობის პარტიულ ორგანიზაციასთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია პოლიტიკური განათლების კაბინეტი, რომელსაც საშუალო სკოლის მასწავლებელი ბ. ხორავა ხელმძღვანელობს.

მეურნეობაში საზოგადოებრივ საწყისებზე ეწყობა აგრეთვე რადიოგადაცემები.

ვ. ფირცხალავა.

□ საჩხერე. საცდელ-საჩვენებელი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების კაბინეტი. აქ სხვა ლიტერატურასთან ერთად გამოფენილია პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მასალები.

ჭ. აბრამიშვილი.

მეცნიერება და ცხოვრება

თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებს შორის შემდგომ სამეიანი ურთიერთობაა დამყარებული.

ამას წინათ ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა დახმარებით ქარხანაში მოეწყო ეკონომიური კონფერენცია თემაზე „სოციალიზაცია და კოოპერირება სოციალისტურ შრომებში“. მოხსენებებით გამოვიდნენ ეკონომისტი „საქართველოს ეკონომიკის“ განყოფილების გამგე ა. წერეთელი, ქარხნის უფროსის მოადგილე გ. ბაქრაძე, ქარხნის საწარმოო-საგეგმო განყოფილების უფროსის მოადგილე გ. კაკაჭიშვილი და ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ა. ჯიბუტი.

ი. გოლქვაძე,
გაზეთ „ჩვენი საყვარის“ რედაქტორი.

* * *

გალის რაიონის სოფელ ოქუმში ამას წინათ მოეწყო თეორიული კონფერენცია სკკპ XXII ყრილობის მასალების გარშემო. კოლმეურნეებს კონფერენციის მოწყობაში დახმარება გაუწია სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულმა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა ჯგუფმა.

კონფერენციის მონაწილეებმა დასასრულს დიდი ინტერესით მოისმინეს სოფელ ოქუმის ღვინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირის, სოციალისტური შრომის გმირის **ჩოქოლი ქვაჩახიას** მოხსენება — „სიმინდის მაღალი მოსავლის უზრუნველყოფის პრაქტიკული ღონისძიებანი“.

ს. ხვისტანი,
პარტიის გალის რაიკომის ლექტორ-კონსულტანტი.



მეხვალიეს მოუგვიანდებაო

„კომუნისტის“ რეიდის მონაწილეთა გლოკნოხიდან

უხვ მოსავალს გარჯა უყვარს

მაღლიან ალაზნის ველზე, პანკისის ხეობაში რომ იწყება და მინგეჩაურის ზღვასთან მთავრდება, გაზაფხული მობრძანდა. მცხუნვარე მზისაგან დაშფოთხალმა ზამთარმა კავკასიონის მწვერვალებს შეაფარა თავი. მთები „ცრემლად“ იღვრება. წყალგამრავლებული მდინარეები ზთქით მიექანებიან ბარში, ბაღ-ვენახებში, მინდორ-ველად გაზაფხულის სურნელი ჩამდგარა და კოლმეურნეებს ხალისიანი შრომა გაუჩაღებიათ.

კოლმეურნეობებს ხორბალი ათასობით ჰექტარზე უთესიათ და ერთი მტკაველიც არ არის მოცდენილი. ნიადაგის დამუშავება, მიწის სასუქებით გამოკვება, ნათესების დაზიგზაგება — ყველა სამუშაო დროულად ჩატარეს. ჰექტარზე საშუალოდ თვრამეტ-ოცი ცენტნერი ხორბალი, — ასე ამბობენ ყვარელელები და აქ საეჭვო არაფერია.

ახლა ზერებს არ იკითხავთ? სადღა ნახავთ დაყამირებულ, ვაზის ძირებგამოზარავ ნაკვეთებს. ვენახებში დიდძალი მინერალური და ორგანული სასუქები შეიტანეს. გასხვლა უბადოდ ჩატარეს. სარისა და მავთულის რემონტი დაამთავრეს. ერთი სიტყვით, ზერები პატარძალივით მორთეს.

ცხრა ათასზე მეტი ცხვარი ჰყავთ საბარეჯოს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში. საადრეო დოლის დროს აქ მეცხვარეებმა 5 ათასი ბატკანი მიიღეს. მეცხვარეებმა ვალდებულება იკისრეს მთლიანად შეინარჩუნონ ნამატი.

სურათზე: მეცხვარე კ. არჩვაძე მეცხვარეობის ფერმაში.

ფოტო ი. დავითაშვილისა. (საქრონიკის ფოტოქრონიკა).

დღის წესრიგშია დიდი სიმინდი, ბარდა, ჭარხალი. უმისოდ არც რძე იქნება და არც ხორცი.

ვინ იქნება ისეთი, რომ კარგი არ მოიწონოს, მაგრამ ნაკლს რომ შენიშნავს, გვერდი აუაროს, თვალი მოარიდოს. ჩვენც სწორედ ასე ვიქცევით. იმას, რაც ცუდია, მოუთრდებლად ვამხილებთ.

პირველ რიგში ტექნიკა. იგი ხომ უხვი მოსავლის „ღმერთია“. „საქსოფლტექნიკის“ ყვარლის რაიონული განყოფილების სარემონტო სახელოსნოს მუშაკებმა ბევრი ტრაქტორი შეაკეთეს. ეს კარგია, მაგრამ ტრაქტორების ნაწილი ჯერ კიდევ შესაკეთებელია. ამ საქმეში ბევრი რამ უშლით ხელს. ქანჩი და ჭანჭიკი რომ გამოჩარხონ, რკინა არა აქვთ. წელს არცერთი კოლეგიაში არ მიუღიათ. ელექტროშედუღებისათვის მავთული არა აქვთ. „დტ-54“ მარკის ტრაქტორებისათვის ბლოკები და მუხლახა ღერძები გერ უშოვნიათ. „კდ-35“ მარკის ტრაქტორების გორგოლაჭებს, რომ იტყვიან, სანთლით ეძებენ.

საერთაშორისო დღე ცნობილი მიმოხილვა

ალჟირელი ხალხის ისტორიული გამარჯვება

პარიზი, 18 მარტი. (საკდესი). 18 საათზე პარიზის დროით (20 საათზე მოსკოვის დროით) ფრანს პრესის საგანგებომ გამოცანადა, რომ ევიანში ხელი მოაწერეს შეთანხმებას საფრანგეთისა და ალჟირის წარმომადგენელთა შორის.

პარიზი, 18 მარტი. (საკდესი). ევიანის მოლაპარაკების დამთავრების მოახლოებასთან ერთად შესამჩნევად ძლიერდება „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ წევრი ბანდიტების ნერვულობა. ამას პირველ რიგში მოწმობს მთავრობის საწინააღმდეგო მანიფესტაცია, რომელიც ოას-მა მოაწყო გუშინ საღამოს ალჟირის ქალაქ ორანში, აგრეთვე „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ ეგრეთწოდებული „კომუნიკე“, რომელიც ჭუხელ გავრცელდა ალჟირის ბევრ ქალაქში.

ამ „კომუნიკეში“ აღნიშნულია, რომ 13 მარტს გაიმართა „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ ხელმძღვანელთა სხდომა, რომელზეც მიღებული იყო გადაწყვეტილება „დროებითი ცენტრალური ხელისუფლების შექმნის შესახებ. ეს ხელისუფლება „განახორციელებს საფრანგეთის სუვერენიტეტს ყველა თავისუფალ ტერიტორიაზე“.

ამ არალეგალური მთავრობის მეთაურად, აღნიშნულია აგრეთვე კომუნიკეში, დაინიშნება ყოფილი გენერალი სალანი.

ამრიგად, თუ ასეთი გადაწყვეტილება მართლაც იყო მიღებული, „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაცია“ ბრძოლა არა მარტო ალჟირში ტერორიზმისა და პარტიზანული მოძრაობის ორგანიზაციის ხაზით, არამედ აგრეთვე პოლიტიკური ხაზით. საფრანგეთის დედაქალაქის ჟურნალისტთა წრეებში აცხადებენ, რომ ამ შემთხვევაში ოას-ის დანაშაულებრივი ორგანიზაციის პოლიტიკური საქმიანობა მნიშვნელოვან მხარდაჭერას პოვებს უკიდურესი მემარჯვენე მომართულების ბევრი პარტიული დაჯგუფების მხრივ.

ალჟირში ცეცხლისა და სიომარი მოქმედების წეწყების წინა დღეებში „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციადან“ აძლერებენ ტერორს ალჟირელი ეროვნების მოქალაქეთა წინააღმდეგ, გუშინ დღისით მარტო ქალაქ ალჟირში მათ ჩაიდინეს ოცდაათი ტერორისტული აქტი და აიფეთქეს ბომბები. დახოცილია 17 კაცი, დაჭრილია 24 კაცი.

ქალაქ ორანში ოას-ის ევროპელმა წევრებმა გუშინ არაერთგზის დაუწყეს სროლა თავიანთი ბინების აივნებიდან ალჟირელი ეროვნების მოქალაქეთა ჯგუფებს. ბევრი ფრანგი და უცხოელი ჟურნალისტის (ბობით, მათი დანაშაულებრივი მოქმედების მიზანია გამოიყვინთ სისხლისმღვრელი კონფლიქტები და ნამდვილი ომი ეროპელთა და მუსლიმთა შორის ცეცხლის შეწყვეტის შეახება შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ. ოას-ის ხელმძღვანელები ყველგან აცხადებენ, რომ მომავალი შეთანხმება შეეხება უწინარეს ყოვლისა საფრანგეთის ჯარებს ალჟირში და რომ იგი სრულიად არ შეეხება მათ.

ოას-ის დანაშაულობანი გრძელდება მეტროპოლიის ტერიტორიაზეც. გუშინ აფეთქება ბომბები, რომლებიც „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციის“ მოფაშისტო არამზადებმა ჩაყწყეს, ქალაქ ბორდოს შრომის პალატის შენობის წინ, პარიზის მე-18 ოლქში, პარიზის გარეუბან მალაკოფსა და ქალაქ მონპელიეში.

გაზეთი „ლუმანიტე“ დღეს აცხადებს, რომ საფრანგეთის მთავრობას აქვს საშუალებანი იმისათვის, რომ ბოლო მოუღოს ოას-ელ დამნაშავეთა ბანდიტურ საქმიანობას. გასაკვირი ჟურნალის ფრანგ ჯარისკაცებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილება გასულ წლის 22 აპრილის ფაშისტური ამბოხების დროს, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გათიშონ იგი, რომ მოქმედების თავისუფლება მისცენ მკვლელებსა და მათ თანამზრახველებს.

პარიზი, 19 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა სიტყვა წარმოთქვა რადიოთი და ტელევიზიით. მან გამოაცხადა ევიანის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება და შეთანხმების ხელმოწერა საფრანგეთის მთავრობისა და ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის წარმომადგენლებს შორის. დე გოლის სიტყვით, ევიანში მიღებულ გადაწყვეტილებათა მიზანია ის, რომ „ალჟირის მოსახლეობამ თვითონ აირჩიოს თავისი ბედი“.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ პერსპექტივა, რაც ისახება დამოუკიდებელი ალჟირის წინაშე, რომელიც „მჭიდროდ თანამშრომლობს საფრანგეთთან“, აკმაყოფილებს საფრანგეთს.

პარიზი, 19 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურო დიდ კმაყოფილებით მიეგება იმას, რომ ევიანის მოლაპარაკებაზე ხელი მოაწერეს შეთანხმების ტექსტს და სხვა შეთანხმებებს. ეს შეთანხმებები სახავენ ალჟირის მშვიდობის, საფრანგეთისა და ალჟირის მეგობრობისა და თანამშრომლობის ახალი ურთიერთობის დამყარების გზას. ბოლოს და ბოლოს ალჟირი შეიძლება გახდეს დამოუკიდებელი, ნათქვამია საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადებაში.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ალჟირის ომის პირველი დღეებიდან საფრანგეთის კომუნისტური პარტია მხარს უჭერდა ალჟირელი ხალხის თავისუფლების მოთხოვნათა ცნობას.

ალჟირელმა ხალხმა, რომელიც გაერთიანებულია ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობისა და თავისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის გარშემო, ეს ისტორიული გამარჯვება მოიპოვა გმირული ბრძოლისა და გაღებული მსხვერპლის შედეგად.

ალჟირელი ხალხის გამარჯვება, ხაზგასმულია განცხადებაში, აგრეთვე საფრანგეთის მუშათა კლასისა და ხალხის გამარჯვებაა, რომლებიც იბრძოდნენ ალჟირის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის. ეს აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალების გამარჯვებაა.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიურო მოუწოდებს მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს არ შეანელონ სიფხიზლე, რათა ჩაშალონ ევიანში დადებულ შეთანხმებათა საბოტაჟის ყოველგვარი ცდა. საჭიროა, აღნიშნულია განცხადებაში, შეიქმნას ფრანგ და ალჟირელ ხალხებს შორის ახალი ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად დაედება თავისუფლება, თანასწორობა და ურთიერთ ინტერესების პატივისცემა.

პარიზი, 19 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის ვიცე-თავმჯდომარე ბენ ბელა და ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის სხვა წევრები, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ საფრანგეთში, მოიყვანეს პარიზის ორლის აეროდრომზე.

23 საათსა და 18 წუთზე ადგილობრივი დროით ბენ ბელა და მისი ამხანაგები ჩასხეს თვითმფრინავში, რომელმაც კურსი აიღო ჟენევისაკენ.

□ ევიანში ხელი მოაწერეს შეთანხმებას. □ დე გოლის გამოსვლა. □ საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს განცხადება. □ ოას-ელი ბანდიტების თარეში. □ გაათავისუფლეს ალჟირელი პატრიოტები. □ კრიმ ბელყასემის განცხადება.

საფრანგეთ-ალჟირის შეთანხმება

ჟენევა, 19 მარტი. (საკდესი). „ევიანში მიღწეულ შეთანხმებაში დაცულია პრინციპები, რომელთა განხორციელებისთვისაც ვიბრძოდით რვა წელიწადია. ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მიზანი ხორციელდება“, — განაცხადა ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის დელეგაციის წარმომადგენელმა რ. მალექმა პრეს-კონფერენციაზე, რომელიც გუშინ გვიან საღამოს გაიმართა ობოში (დახლოებით 40 კილომეტრ მანძილზეა ჟენევიდან, ჟენევის ტბის შვეიცარიის სანაპიროზე). ამ პრეს-კონფერენციაზე, რომელშაც პრესის, რადიოს, კინოქრონიკისა და ტელევიზიის წარმომადგენელთა განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია, რ. მალექმა ჩამოაყალიბა შინაარსი საერთო დეკლარაციისა, რაც ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობისა და საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებმა მიიღეს ევიანის მოლაპარაკების დასასრულს.

საერთო დეკლარაციაში გამოთქმულია ის შეთანხმებათა ჯარი, რასაც ორივე მხარემ მიაღწია მოლაპარაკების მსვლელობაში. ეს შეთანხმებანი ითვალისწინებენ როგორც გარანტიებს, რომლებიც ალჟირელ ხალხს ესაჭიროება თვითგამორკვევის გზით საკუთარი დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს შესაქმნელად, ისევე თანამშრომლობას ალჟირის დამოუკიდებელ რესპუბლიკასა და საფრანგეთს შორის. ცეცხლის შეწყვეტასა და ალჟირელ ხალხის თვითგამორკვევის შესახებ რეფერენდუმის განხორციელებას შორის არსებულ გარდამავალ პერიოდში, რომელიც სამიდან ექვს თვემდე გაგრძელდება, ალჟირში იქნება დროებითი აღმასრულებელი ორგანო. მის უფლებებში შედის ალჟირის საშინაო საქმეების მართვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, აგრეთვე ალჟირის ეროვნული ჯარების ორგანიზება და განლაგება.

ევიანის შეთანხმებათა შესაბამისად უნდა გაიმართოს ალჟირის ეროვნული ასამბლეის არჩევნები, რომელთა ამომრჩევლები იქნებიან ალჟირის ყველა მოქალაქე, რომლებიც საფრანგეთის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლებით სარგებლობენ. ალჟირის ეროვნული ასამბლეა ალჟირის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების ფრონტის, რომელიც ალჟირში ბრძოლის ხელმძღვანელობას ეწევა, ალჟირის ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე ნაწილის, ალჟირის ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე ნაწილის, რომლებიც საფრანგეთის პატიმრობაში იმყოფებიან, ალჟირში მცხოვრები ევროპელების ნაწილის, რომელიც

ახალი ამბები

„საქართველოს ქალი“ მკითხველებთან

ამ დღეებში თბილისის მაუდ-კამოს კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ კლუბში მრავალად შეკრებილი იყო ხალხი. განსაკუთრებით ქალები სჭარბობდნენ. თუმცა რა გასაკვირველია, აქ ხომ ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის კოლექტივთან იყო შეხვედრა და ამ ჟურნალის მკითხველებიც უმეტესად ქალები არიან.

ჟურნალი „საქართველოს ქალი“ თავის ფურცლებზე აშუქებს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში მომუშავე მოწინავე ქალთა შრომითს საქმიანობას, მკითხველებს აცნობს მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების სახელოვან ქალებს. აქვეყნებს მხატვრულ ნარკვევებს, მოთხრობებს, დიდ ადგილს უთმობს თავის ფურცლებზე ქალი-დედის როლს, ეხმარება დისციპლინებს, შრომებს, აძლევს მათ საჭირო რჩევა-დარიგებას. ჩვენი ქალები ამ ჟურნალში მათთვის ბევრ საინტერესო კითხვაზე პოულობენ პასუხს.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჟურნალის მკითხველებს აქვთ თავიანთი შენიშვნები, რომელიც სასურველია იცოდნენ ჟურნალის რედაქციის მუშაკებმა. და ეს შეხვედრაც სწორედ ამ მიზნით მოეწყო.

სიტყვას მოხსენებისათვის — „ლიტერატურული ჯანრი“ — იღებს კომბინატის სარემონტო განყოფილების მუშა ვ. გოგოჭური. იგი განიხილავს გასულ წელს ჟურნალში გამოქვეყნებულ მოთხრობებს.

მოხსენებაში „ნარკვევები მშრომელი ქალის შესახებ“ კომბინატის აღკ კომიტეტის მდივანი ლ. ნარიმანიშვილი აღნიშნავს, რომ სასურველია „საქართველოს ქალში“ ხშირად იბეჭდებოდეს ნარკვევები სოფლად და ქალაქად სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ ქალთა საქმიანობაზე.

საყურადღებო შენიშვნები გამოთქვეს თავიანთ სიტყვებში საწარმოო სწავლების ხელმძღვანელმა თ. კახიძემ, საქსოვი წარმოების მუშამ ვ. დიაკონაშვილმა, სარემონტო სამმჭრის ინჟინერმა გ. სვანიძემ, შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსმა მ. რევაზიშვილმა, კომბინატის დესინატორმა ლ. ბერიძემ. მათ ძირითადად მოიწონეს „საქართველოს ქალში“ გამოქვეყნებული წერილები, გამოთქვეს სურვილი ჟურნალის ფორმატის გაზრდის შესახებ. თქვეს, მატიკის მრავალფეროვნება, მეტი წერილები მეგობრობაზე, სიყვარულზე, საყოფაცხოვრებო თემებზე — აი ის საკითხები, რომელთა შესახებაც ფართოდ და საქმიანად იმსჯელეს მკითხველებმა.

სარედაქციო კოლეგიის წევრებმა მწერალმა მარიკა ბარათაშვილმა და მხატვარმა ეკატერინე ბაღდავაძემ მადლობა გადაუხადეს დამსწრეთ გულთბილი შეხვედრისათვის.

თავის გამოსვლაში „საქართველოს ქალის“ პასუხისმგებელმა რედაქტორმა თეო აბაშიძემ კომბინატის მუშა-მოსამსახურეებს გააცნო ჟურნალის გეგმები.

მაღალი ჯილდო

ცაგერი. (საქ. კორ.). აქ მოვიდა სასიხარულო ცნობა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამეს გასულ წელს ჩაის კრეფაში ახალგაზრდობის შრომითი მონაწილეობის შედეგები. დადგენილებაში „აღნიშნულია, რომ ჩაის ფოთლის კრეფაში თავი გამოიჩინეს ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეებმა.

ჯილდოზე წარჩინებულ სამ მოსწავლეს — ვენერა ლიპარტელიანს, გოგუცა ქარდავას და გივი მეშველიანს გადაეცათ „სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ სპეციალური ნიშანი და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ქების სიგელი.

ბევრი მოსწავლე დაჯილდოებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საგზურებით.

მოკლედ ყველაფერზე

□ **ქუთაისი.** (ხაკ. კორ.). „საქსოფლტექნიკის“ ქუთაისის საავარო შემოზიდვის ბაზამ წელს გაადიდა სოფლისათვის ტექნიკის მიყიდვა. იანვარ-თებერვალში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მიეყიდათ მეტი მანქანები და სახუჭები, ვიდრე გასული წლის პირველ კვარტალში. სოფლმა შეიძინა 255 სატვირთო ავტომანქანა, 55 ტრაქტორი, სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივად სათესი 35 მანქანა, 19 ჩაის ბუჩქის სასხლავი მანქანა, აგრეთვე დიდძალი მისაბმელი იარაღ-მანქანები, ათასობით ტონა მინერალური სასუქები.

□ **თელავი.** (ხაკ. კორ.). ჭიჭკვის ხეობა სოფელ ართანიდან შორს არ არის. წელს აქ თოვლი მცირე იყო. კოლმეურნეობის ცხვარი ბალახს ხარბად შეექცეოდა. მწყემსები ფხიზლობდნენ, მაგრამ დათვები მოსვენებას არ აძლევდნენ.

ერთ დღეს ძმები ილია და იოსებ ჩახუტაშვილები დათვს ბუნაგს წაადგნენ. მონადირეებმა ბუნაგში ქვები ჩაყარეს, შეეხმიანენ კიდეც, მაგრამ ჩამიზუმი არ ისმოდა. მაშინ ბუნაგს თოფი ესროლეს. სროლის ხმაზე ბუნაგიდან ორი დათვი ღრიალით გადმოხტა. ძმებმა ისინი ორი გასროლით დაბოცეს.



წულუკიძეში დამთავრდა 650 ადგილიანი კულტურის სახლის მშენებლობა.

სურათზე: კულტურის ახალი სახლი წულუკიძეში.

ფოტო პ. ლუცენკოსი. (საქდესის ფოტოკრონიკა).

საქორწინო დარბაზი

თბილისელ ახალგაზრდებს უქნებათ საქორწინო დარბაზი. მის პროექტს ამუშავებს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „თბილქალაქპროექტის“ არქიტექტორთა პირველი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს შოთა ყავლაშვილი. პროექტის დამუშავებაში არქიტექტორებთან ერთად მონაწილეობენ მხატვრები და მოქანდაკეები.

დარბაზი მოეწყობა სანაპიროზე გრიბოედოვის ქუჩის გვერდით 220-ბინიანი სახლის ერთ-ერთ კორპუსში, რომელიც სექტემბერში დამთავრდება. დარბაზს დაეთმობა პირველი და მეორე სართული.

უკრავს ნორჩი მუსიკოსი

ჟრუანტელი გიჟლიტოთეკა

პაპარა, სათნო, თვალცრემლიანი გოგონა იყო... უკრავდნენ მეზობლად და ყურს მიუგდებდა, თვითონაც მიუჯდებოდა ფორტეპიანოს, პაწაწა თითებს ამოძრავებდა კლავიშებზე, გაიტაცებდა მშობლიური მელოდიები ჯერ კიდევ ცეროსოდენა ნანა კეთილაძეს.

— მუსიკის ნიჭიც დაჰყოლია, დროს ნუ დააკარგვინებთ, ახლავე მიაბარეთ მასწავლებელს, რომ საშუალო სკოლაშიც ისწავლოს და მუსიკაშიც გაიწაფოს, — ურჩიეს მშობლებს.

ასეც მოხდა. შვიდი წლის ნანა სწავლას შეუდგა. თბილისის 23-ე საშუალო სკოლის გარდა, გაკვეთილებს იღებდა პირველ მუსიკალურ სასწავლებელშიც. მშობლიურ მზრუნველობას იჩენდნენ მასწავლებლები, იმედს ამყარებდნენ ნანას ნიჭზე და ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ვოგონას, რომ არ დაღლილიყო, მტკიცე რეჟიმით განეგრძო მეცადინეობა ზ. ფალიაშვილის სახელობის მეორე მუსიკალურ სკოლაში. მზრუნველობა არ აკლდა ცნობილი პედაგოგის ტატიანა პოლტორაცკაიას მხრივაც.

ახლა ნანა მეთექვსმეტე წელშია გადასული, წარჩინებით სწავლობს მეორე მუსიკალურ ტექნიკუმში. პირველი ბავშვური გატაცება უკვე დახელოვნების სურვილმა შეცვალა. იგი ისე დაეუფლა ფორტეპიანოს, რომ ჩინებულად ასრულებს მოცარტის, ბეთჰოვენის, ლისტის, ჩაიკოვსკის, ფალიაშვილის, არაყიშვილის და მრავალ სხვა კომპოზიტორთა შედევრებს. უსმენთ, გაჯადოებთ ფაქიზი შესრულებით.

ფართო სარბიელია ნანას წინაშე. ცოდნით, ნიჭით გაიკაფავს გზას შრომისმოყვარე ნორჩი მუსიკოსი.

ტექსტი და ფოტო ნ. მალაღურაძისა.

სურათზე: ნ. კეთილაძე.

ხელოვნების ქრონიკა

□ **თელავი.** (საქ. კორ.). თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრში თბილისის სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა გამართეს კონცერტი. შესრულებულ იქნა კლასიკური და თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა გურევიჩმა და კოზმინსკაია-ჩიგოგიძემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა პ. ამირანაშვილმა, დ. ანდღულაძემ და სხვებმა.

□ **ჭიათურა.** (საქ. კორ.). მეშახტეთა კულტურის სახლში კონცერტი გამართა საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა ბრიგადამ. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ს. ჯაფარიძემ, თ. მაისურაძემ, დ. ესებუამ, ო. სანდომიაშვილმა, თ. დავითაშვილმა, დ. შვანგირაძემ, ალ. მანუერმა.

□ **ამ დღეებში** მანგლისის კულტურის სახლთან არსებულმა დრამატულმა კოლექტივმა წარმოადგინა გ. მდივნის „სამშობლო“.

სპექტაკლის დადგმა განახორციელა ქ. ლონდარიძემ. მთავარ როლებს ასრულებდნენ ი. შავშიშვილი, ა. ბადუაშვილი, ხ. თოროზოვი, გ. თოროზოვი, ნ. მეხრაძე, ნ. ბერუაშვილი, რ. მანუკოვი და სხვ. („კომუნისტის“ კორ.).

□ **ფოთში** საგასტროლოდ ჩამოვიდა ზუგდიდის შ. დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივი.

ფოთელ მაყურებლებს მათ უკვე უჩვენეს ვალერიან ფალიაშვილის „უნიადაგონი“ და ვ. კანდელაკის „ერთხელ დახოცილები“. სპექტაკლების დადგმა ეკუთვნით რეჟისორებს ვ. მჭედლიძესა და ნ. დეისაძეს. („კომუნისტის“ კორ.).

ადამიანები გადარჩენილია

საარჩევნო დოკუმენტები დროზე ჩამოიტანეს!

ქვემო პრონგე (ბაბაროსკის მხარე), 18 მარტი. (საკდესი). — ადამიანები გადარჩენილია! საარჩევნო დოკუმენტები დროზე ჩამოიტანეს! — ამ ამბავმა გაახარა ამურის ლიმანის მარცხენა ნაპირის სოფლების მცხოვრებნი. ორი ღამის განმავლობაში მათ აღელვებდათ ოთხი საბჭოთა ადამიანის — აერომარხილის მოტორისტების ბერაზანისა და კონკოვის, ქვემო პრონგეს სკოლის დირექტორის მეშჩერიაკოვისა და ამურის მეთევზეობის სახელმწიფო ტრესტის თანამშრომლის კრატჩენკოს ბედი. 16 მარტს ისინი გამგზავრნენ ლაზარევის კონცხზე. მაგრამ დანიშნულ დროზე ვერ დაბრუნდნენ უკან.

დაკარგულთა საძებრად გაემართა ორი აერომარხილი, ყველა არსებული ტრაქტორი, ძაღლის მარხილები. აღმოჩნდა, რომ ძლიერ ქარბუქში აერომარხილებმა გზას გადაუხვიეს 15 კილომეტრით ამურის ლიმანის სიღრმეში. ამავე დროს მოტორიც ჩაქრა. შეეცადნენ მომართვას, მაგრამ აღარაფერი გამოუვიდათ. საარჩევნო დოკუმენტები კი აუცილებლად დროზე უნდა ჩაეტანათ ადგილზე. მაშინ მამაცმა ოთხეულმა გადაწყვიტა ქვეითად წასულიყო. მალე ისინი აღმოაჩინეს საძებრად გამოსულმა ამხანაგებმა.

მ. ა. რომანოვი

გარდაიცვალა

ძველი ბოლშევიკი პარტიის წევრი 1918 წლიდან — მიხეილ ათანასეს-ძე რომანოვი. იგი დაიბადა 1898 წელს ოზურგეთის ოჯახში.

თავისი შეგნებული ცხოვრება მ. ა. რომანოვმა მოახმარა საბჭოთა ხალხისა და კომუნისტური პარტიის სამსახურს.

1918 წელს მ. ა. რომანოვი მოხალისედ შეუდგა წითელი არმიის რიგებში, წმიდად და კეთილსინდისიერად მსახურობდა და იგი არმიის შენაერთებში სხვადასხვა თანამდებობაზე — ოცეთაურად, ასეთაურად, პოლკის მეთაურად. თავის მდიდარ სამხედრო პრაქტიკულ გამოცდილებას, უმაღლეს სამხედრო სასწავლებლად და სამხედრო აკადემიაში შეძენილ ცოდნას იგი უნარიანად გადასცემდა თავის ხელქვეითებს.

პოლკოვნიკი მ. ა. რომანოვი იყო სამოქმის მონაწილე. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო სამოქალაქო ომში უცხოელი ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ, დიდი სამამულო ომის დროს იგი თავისი ბეწერებით აქტიურად მონაწილეობდა კავკასიის დაცვისათვის ბრძოლებში.

პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს სამშობლოს წინაშე მ. ა. რომანოვის დამსახურება — იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორდენით და მედლებით.

მიხეილ ათანასეს-ძე რომანოვის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

იმრავლოს...

რვა ვაჟისა და ორი ქალიშვილის დედ-მამასთან

არიან რვანი ძმანი და ორნი დანი... ზღაპარი არ გეგონოთ, ეს ჩვენი დროის ნამდვილი ამბავია.

ქართულ ზღაპარში დედა მუდამ პატივისცემით სარგებლობს, ალბათ, მაშინაც კი, როცა ეს ხალხური ლეგენდები, ზღაპრები ან არაკები იქმნებოდა, სათუთად ეპურობოდნენ და პატივისცემის შარავანდედით მოსავდნენ მრავალშვილიან დედებს. ქართველ ხალხში ეს იყო ეროვნული ღირსების უზადო სიმბოლო.

ეს ნამდვილი ამბავი ასე იწყება...

ტაშისკარიდან ბორჯომის ხეობა მთებში იკარგება. ტანაშოლტილი ფიჭვებითა და ნაძვებით აჭრელილა თრიალეთი, ეს ადგილებიც ზღაპრის სადარია.

ტაშისკართან, მთების ძირში, ციცაბო ფერდობზე შეფენილია პატარა სოფელი, რომელსაც ზანავს ეძახიან, ხოლო სოფლის თავში, იქ, სადაც პატარა კლდეები იწყება, იქ, სადაც მთები და ღრუბლები ერთმანეთს ჩახვეულან, ბახოკერის ხერხე პატარა სახლია. ამ სახლით მთავრდება სოფელი. სახლის გვერდით მოუსვენრად მიჩუხჩუხებს მთის პატარა მდინარე — სამოთხე. ღელის პირას პატარა იმერულ სახლში ცხოვრობენ ვალდომერ და მარიამ კიკაძეები. აი ახლაც ამ სახლის ჭერქვეშ ირწევა აკვანი. ამ აკვანში მოუსვენრობს არატახებში ჩაკრული პატარა. იგი უმცროსი ქალიშვილი ლამარაა. მისი უფროსი და—ამ ოჯახის პირველი ქალიშვილი ნაზი ორი წლის წინათ ამოიუვანეს ამ აკვნიდან. გოგონამ დიდი სახალხო შემოიტანა ამ ოჯახში. 8 ვაჟის შემდეგ ქალიშვილი დაიბადა...

25 წელია, რაც ეს ამაგდარი აკვანი განუწყვეტლივ ირწევა. მარიამს ერთხელაც არ უგრძვნია დაღლა. შვილების ყივილ-ბივილი, ალერსი და სიყვარული ძალას მატებს, ახალისებს 45 წლის დედას, ჭარმაგსა და ძალღონით სავსე მარიამს.

„სამოთხის“ ღელესთან 8 ვაჟი და 2 ქალი დაიბადა. მიხეილი და ლევანი, ნიკოლოზი და შოთა, გიორგი და ვახტანგი, შალვა და ალექსანდრე, ნაზი და ლამარა. მიხეილი ახლა 25 წლის ვაჟკაცია. საბჭოთა არმიის რიგებში იყო და ვალმოხდილი დაბრუნდა. ძალღონით სავსე და სიტყვამოსწრებული ჭაბუკია, არმიაში წასვლის წინ ბედნიერ ოჯახს შემცვლელი დაუტოვა — პატარძალი მოიყვანა და მშობლებს ჩააბარა. ახლა მარიამს შვილიშვილიც ჰყავს. მალე ქორწილს ქორწილი მოჰყვება, ლხინს — ლხინი...

ოჯახის მამას ვალდომერს ყოველთვის ღიმილი უთამაშებს სახეზე, პირხმელ და ძვალმსხვილ ვაჟკაცს თვალებში ხალისი სოფლის ბიჭებს წარსულ ამბებს კი არ უყვებოდა, არც თქმულებებსა და რიმე ზღაპარს უამბობდა, არამედ ვლადიმერ და მარიამ კიკაძეების ჭაბუკებსა და მათ ვაჟკაცობაზე ლაპარაკობდა.

...შარშან მამასთან ერთად ოშორის მთებში საქონელი გაერეკათ. მამა და შოთა ცალკე წასულან, ხოლო ლევანს მშრალი პირუტყვი მაღლა მთებში აეყვანა. ოშორის მთის ულრან ტყეში ღამეებს ათენებდა ჭაბუკი, უფროსიც კი შეკრთებოდა, გამოცდილ ვაჟკაცსაც კი შეუტოკდებოდა გული... ლევანი კი მამაცურად უძლებდა ღამის იდუმალებას, ხეების ჩურჩულს და ნადირთა ყმუილს... შუაღამე იყო, პირუტყვი იწვა და მადიანად იცოხნებოდა. უეცრად ბღავილი გაისმა... ლევანი წამოხტა, იგი მაშინვე მიხვდა, თუ რა უნდა მომხდარიყო. გულადი მწყემსის გვერდით პატარა ძალი შეშინებული წმუტუნებდა, ლევანმა მამისეულ თოფს დაავლო ხელი და შეუპოვრად ეკვეთა თვალებრიალა და კბილებდალესილ მგლებს. თოფის ჟუხილმა მთები შეაზანზარა... პირუტყვი გაძარჩა.

მთელი ღამე არ სძინებია, ფხიზლობდა ლევანი... მთებში ინათა, ლევანს შორიდან ქალების ყვირილი მოესმა, ლევანი ცხენს მოაფრინდა და მთებისკენ გაეშურა... ციცაბო ფერდობებზე ცხენმა წაიბორძიკა, შემდეგ კლდეს ისე ახლოს გაუარა, რომ ჭაბუკს კინაღამ მუხლისძალი გადაემტვრა. ლევანი მაინც არ შედრკა, გზა განაგრძო, კლდეებში ეხმიანებოდა დაკარგულ ხბოებს. როგორც იქნა მიაგნო კიდეც და სამშვიდობოს გამორეკა.

— ზღაპარი არ გეგონოთ ეს ამბავი, — დაამთავრა საუბარი მოხუცმა კოტე რაზმაძემ და დასძინა, — კარგი ვაჟკაცებია, ღმერთმა გაზარდოს ისინი.

მარიამ და ვლადიმერ კიკაძეების ვაჟიშვილების შრომისმყვარეობაზე, ზრდილობასა და თავაზიანობაზე მთელი სოფელი ლაპარაკობს.

კვირას მარიამი და მისი მეუღლე ვლადიმერი უფროს ვაჟიშვილებთან ერთად ადრიადვე გამოცხადდნენ საარჩევნო უბანში. მათ ხმა მისცეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო შვილებს, ხმა მისცეს მშვიდობას, დიადი მომავლის მშენებლებს.

გ. ხეჩუაშვილი.

ზემო სურათზე თქვენ ხედავთ რვა ვაჟიშვილისა და ორი ქალიშვილის დედ-მამას — მარიამ და ვლადიმერ კიკაძეებს. დედიკოს ხელში უჭირავს ყველაზე პატარა გოგონა; ქვემო სურათზე ჩამწკრივებულან ბედნიერი ოჯახის შვილები. ამ სახელოვან „ათეულს“ აკლია ერთი ვაჟიშვილი, რომელიც ამჟამად საბჭოთა არმიის რიგებშია.

ფოტო შ. კუკულავისა.

საქართველო კარდმარქსშტადტში

ეს წერილი „ზონტაგის“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულმა ინფორმაციამ დამაწერინა. გაზეთში აღნიშნული იყო, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ კარლმარქსშტადტში გაიხსნა ვალტერ დენეკეს ნამუშევრების გამოფენა თემაზე „საბჭოთა კავშირში მოგზაურობის სურათები“.

ვალტერ დენეკე, ცნობილი გერმანელი მხატვარი, ორჯერ იყო საქართველოში და მრავალი ნაწარმოები შექმნა თბილისზე, სოხუმზე, ჩვენს ისტორიულ და ღირსშესანიშნავ ადგილებზე.

„კომუნისტის“ მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ გასული წლის სექტემბერში ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ვალტერ დენეკეს წერილი და მის მიერ შესრულებული სიღნაღის ერთ-ერთი ხედის ჩანახატი.

მოსკოვიდან ტელეფონით დავუკავშირდით კარლმარქსშტადტს.

— სურათების საქალაქო გალერეაა?

— დიახ.

— ვალტერ დენეკეს სთხოვეთ.

— დენეკე არ გახლავთ, სამწუხაროდ.

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— გალერიის თანამშრომელი ფროლაინ გრეტჰენ.

მას ვთხოვეთ ეპასუხნა ჩვენს რამდენიმე კითხვაზე.

— როგორ არის წარმოდგენილი გამოფენაზე საქართველო?

— აქ არის დენეკეს მიერ ქართულ თემაზე შექმნილი რამდენიმე ათეული ნამუშევარი. დამთვალიერებლებს ძალიან მოსწონთ მხატვრის მიერ თბილისზე, შავი ზღვისპირეთზე და მთიან საქართველოზე შექმნილი ნაწარმოებები.

— დამთვალიერებელი ბევრია?

— ოო, ძალიან ბევრი. კარლმარქსშტადტში ძალიან უყვართ მხატვრობა.

— რამდენ ხანს გასტანს გამოფენა?

— გამოფენა თითქმის ერთი თვეა მუშაობს და კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს.

გალერიის თანამშრომელს მადლობა გადავუხადეთ.

საუბრის შემდეგ წამით თვალწინ დამიდგნენ საქსონელი ფეიქრები, რომლებიც ინტერესით ათვალიერებდნენ კარლ მარქსის ქალაქში გერმანელი მხატვრის ფუნჯით მოხატულ საქართველოს.

ვლ. ალფენიძე.

მოსკოვი, მარტი.

ინტერვიუ ტელეფონით

არგენტინაში— საჭადრაკო ტურნირზე

მოსკოვი, 19 მარტი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან ბუენოს-აირესში გაფრინდნენ გროსმაისტერი ვასილ სმისლოვი და სსრ კავშირის უკანასკნელი საჭადრაკო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი გროსმაისტერი ლევ პოლუგაევსკი. საბჭოთა მოჭადრაკეები მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში, რომელიც ზეგ იხსნება მარ-დელ-პლატაში.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სმისლოვმა თქვა:

— არგენტინაში ჭადრაკი დიდი პოპულარობით სარგებლობს. მას შემდეგ, რაც ბუენოს-აირესში მოეწყო კაპაბლანკა-ალიოხინის ცნობილი მატჩი (1927 წელი) სამხრეთ ამერიკაში ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე გაჩნდა.

დიდი საჭადრაკო ასპარეზობის განსაკუთრებით პოპულარული ადგილი გახდა კურორტი მარ-დელ-პლატა. აქ 1960 წელს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში წარმატებით გამოვიდნენ საბჭოთა გროსმაისტერები ბორის სპასკი, რომელმაც პირველობა შეერთებული შტატების ჩემპიონ რობერტ ფიშერთან ერთად პირველი-მეორე ადგილი გაიყო და გროსმაისტერი დავით ბრონშტეინი (სსრ კავშირი) რომელმაც მესამე ადგილი დაიკავა.

მარ-დელ-პლატის მომავალ ტურნირში მიიწვიეს 16 გროსმაისტერი და ოსტატი — 8 არგენტინელი და 8 საზღვარგარეთელი მოჭადრაკე. არსებული ცნობებით, ტურნირში გამოვლენ გროსმაისტერი ლუდეკ პახმანი (ჩეხოსლოვაკია), გროსმაისტერი ლასლო საბო (უნგრეთი), მსოფლიო ჩემპიონი ჰაბუკთა შორის ბრუნო პარმა (იუგოსლავია), ცნობილი ინგლისელი ოსტატი ჯონატან პეროუზი. სამხრეთ-ამერიკელ მოჭადრაკეებს სათავეში ჩაუდგება გროსმაისტერი მიგუელ ნაიდორფი.

შეჯიბრება გაგრძელდება 13 აპრილამდე.

მესამე კანდიდატის გამოსავლინებლად

ჰავრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) თებულებით პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილეებს უხდა ჰყავდეთ სამი სათადარიგო მოთამაშე, ანუ კანდიდატი. როგორც ცნობილია, ეს უფლება მოიპოვეს გროსმაისტერებმა ლ. შტეინმა (სსრ კავშირი) და ს. გლიგორიჩმა (იუგოსლავია).

მესამე სათადარიგო მოთამაშის გამოსავლინებლად ბუდაპეშტში დაიწყო დამატებითი მატჩ-ტურნირი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გროსმაისტერ ვ. ულმანსა და გროსმაისტერ ლ. პორტიშს (უნგრეთი) შორის. ამ მოჭადრაკეებმა თორმეტნახევარ-თორმეტნახევარი ქულა შეაგროვეს სტოკჰოლმის ტურნირში და მეცხრე-მეათე ადგილები გაინაწილეს.

საკონტროლო მატჩები ფეხბურთში

კიევში საკონტროლო შეხვედრაში „ა“ კლასის ახალბედა კოლექტივმა კუბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ ორი მატჩიდან ორივე მოიგო. კუბიშევველებმა დაამარცხეს კისლოვოდსკის „შრომითი რეზერვები“ 2:1 და ტაშკენტის „პახტაკორი“ 2:0.

მატჩი ერევნის „სპარტაკისა“ და კისლოვოდსკის „შრომითი რეზერვების“ გუნდებს შორის დამთავრდა ერევნელთა სასარგებლოდ 2:0.

ძალოსანთა შეჯიბრებაზე

გასულ კვირაღდეს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში დამთავრდა საერთაშორისო ტრადიციული შეჯიბრება ძალოსნობაში მოსკოვის პრიზზე.

ქვემძმე წონაში გამარჯვება და მოსკოვის პრიზი მოიპოვა ვ. სტეპანოვმა, რომელმაც სამჭიდში აჩვენა 460 კილოგრამი. მძიმე წონაში უძლიერესი იყო უკრაინელი შტანგისტი ლ. ჟაბოტინსკი. სამჭიდში მან 490 კილოგრამი შეაგროვა.

ნ. ასათიანი— ვერცხლის მედალი

კიევში გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ფარიკაობაში. ხმლით ბრძოლაში ჩემპიონობის საკითხს წყვეტდა მ. რაკიტასა და ნ. ასათიანის დამატებითი შეხვედრა. გაიმარჯვა პირველმა. ნ. ასათიანმა ვერცხლის მედალი მოიპოვა.

სპორტული ქრონიკა

□ 18 მარტს სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ლიდერმა კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის რიგის არმიის სასპორტო კლუბის კოლექტივმა გაამართა ჩემპიონატის პირველი წრის უკანასკნელი მატჩი კიევის „სტროიტელთან“. გაიმარჯვეს რიგელებმა ანგარიშით 64:59.

□ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაამთავრა ტურნე. საბჭოთა ვეხბურთელებმა აქ ორი მატჩი გამართეს და ორივე წააგეს თანაბარი ანგარიშით 1:2. ცსკა-ს მოწინააღმდეგენი იყვნენ ლაიპციგის აკრები და დრეზდენის „დინამოს“ გუნდები.

□ თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში დამთავრდა საქართველოს პირადი პირველობა ძალოსნობაში.

წონითი კატეგორიის მიხედვით გაიმარჯვეს ა. ჩოლოკიანმა (სოხუმი), რ. დათიკაშვილმა (თბილისი), ა. სურმანიძემ (ბათუმი), ლ. ბაბაიანმა (თბილისი), დ. ქათამაძემ (ქუთაისი), ზ. პაპიძემ (ჭიათურა), კ. ებრალიძემ (თბილისი), გ. სანაკოიძემ (თბილისი), გ. გოგოლაურმა (რუსთავი).

ჩვენი მისამართი და ტელეფონები: თბილისი, ლენინის 14, ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 1-63-03, 8-08-67, პასუხისმგებელი მდივნის — 1-72-80, სამდივნოსი — 8-46-10, განყოფილებებისა, პარტიული ცხოვრების, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 1-57-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 8-16-90, წერილების — 1-73-24, უცხოეთის — 3-35-01, ხაილუსტრაციო — 8-20-43, განცხადებების მიღების — 1-64-42.

კომუნისტი

უე 05692

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.